



სალიტერატურო და სამეცნიერო ნახაზებიანი ზაფითი. ზამონის უძველესი კვირა დღის.

№ 49.

ნომერი 27, 1894 წ.


№ 49.

**შინაარსი:** ფქტორები ისტორიის პროცესისა, ფხსი სკედილი, აკაისა. — ვადღეოვ მგისანს ლექსი, სლოვანისა. — საყურადღებო ამბები. — რაჭა (მგზავრის შენიშვნები) ანაღგაზდა ქართკელია. — გამოცანა, ლექსი რუს-იმერლისა. — სამი სა- პაღინს ნაცვლით ერთი ხანალი სამაგიერო, კ. დოდაშვილისა. — პარტახი ფე. ნინოშვილისა. — უფრნალი იკვალისა რედა- ქცი-სადმი, ერ. რამიშვილისა. — კვალისა ფოსტა. — წერლო ანალ-სენაქიდან, ბესარიონ შიქაძისა — წერილი რედაქციის მი- მართ, გადმოტყდილი ივერიიდან. — განცხადება.

ფაქტორები ისტორიის პროცესისა

**ფ**ოამბის\* მე-V და IV ნომერში დაბეჭდილი იყო ბ-ნ ნ. ყორდანის ფრიათ საყურადღე- ბო წერილები: კონსოშიური წარმატება და კროკება. არ ეცი მიიქცია თუ არა ყურადღება

ამ წერილებს მკითხველმა საზოგადოებამ. არც ის ეცი, თუ რა შთაბეჭდილება იქონიეს ამ წერილე- ბმა მკითხველებზე. ის კი შემოდლია დაბეჭდვითი ეტქვა, რომ ერთს ნაწილს ჩვენის საზოგადოებისს ეს წერილები ფრიად მოეწონებოდა და იქ გაყენილს და გატარებულს დედა-აზრს სამარადისო ჭეშმა.



იმპერატორის კუბოს დასასვენებელი ერთი ნიკოლოზის რეინის კზის სადგურის ეზოში, სამლოკი- რო მატარებლის მოსკლამდე.

რიტებათ მიიჩნევედა. ისიც ვიცი, რომ იგივე აზრი და შეხედულება, რაიც ბ-5 ჟორდანის აქეს საზოგადო ცხოვრებაზე და კერძოთ ეროვნებაზე, ჩვენ ლიტერატურაში უკვე გამოთქმული იყო ამ ათთორმეტის წლის წინათ. \*) ჩვენ კი ეს წერილები საგულწინძოთ იმითავე მიგვაჩნია, რომ შემთხვევა გველმევა ვრცლათ მოვილაპარაკოთ იმ დედა-აზრის აუ-კარგიანობაზე, რაც მათშია ვატარებული.

რაც უფრო რომელიმე მოვლენა მარტივია, მით უფრო აღვილია ამ მოვლენის ახსნა და გაგება. მოვლენაც მაშინ არის ახსნილი და გაგებული, როცა უმთავრესი იმის წარმომავლობელი მიზეზია ნახული და გამოჩენილი. თუ მიზეზი და მისი შედეგი სიტყვის შეუხებურებლათ არ არის ნაჩვენები, მაშინ მოვლენაც აუხსნელი და ჯერ კიდევ გაუგებარია. ადამიანის გონება და ცოდნა აი, ამ ფარგალშია მოწყვეტული. თუ მოვლენა ჩთულია და მრავალ-ფეროვანი, თუ იგი შედეგია არა ერთისა და ორის მიზეზისა, არამედ მიზეზთა მთელი ჯგუფით არის გამოწვეული, იმ შემთხვევაში მოვლენის ახსნაც უფრო სძინელა, ეს არის იმის მიზეზი, რომ ადამიანმა უფრო აღრე შეიგნო და შეისწავლა ფიზიკური მოვლენანი, როგორც უფრო მარტივი. ადამიანის სულიერი მდგომარეობა და საზოგადოების ცხოვრების დედა-მარტივი, კი როგორც უფრო რთული მოვლენანი, ჯერ კიდევ შედ-მიწვენილ არ გამო რეგულა და შესწავლილა, ცოდნის ზრდა, გაფართოება შემდეგკანონის ემორჩილება: მოკლეობა ახსნა და გკუბა კჭლ-და-ჭლ მიღეს მათი რთულობის ხარისხის. ცხოვრება და საზოგადოება ფრიალ ჩთულს მოვლენას წარმოადგენს. იგი ერთსა და ორს მიზეზზე კი არ არს მხოლოთ დამოკიდებული; არა, იგი შედეგია ბევრის ჯაქვის რგოლებისაგით ერთმანეთზე გადაბმულის მიზეზებისა. ყველა ეს მიზეზები, რომ ცალკე-ცალკე გამოარკვეოთ, მათი ღონე და ზე-გავლენა შეიგნო და შეისწავლო, — ამისათვის, სხვა რომ არა იცოს რა, მიუწოდომელი გამჭრიახობა მაინც ხომ საჭიროა და ადამიანიც ცდილობს ცხოვრებაზე როგორმე აზრი და შეხედულება მაინც იქონიოს, — უა მისით ადამიანის ცხოვრებაც წარმოუდგენელია: ფიქრის და განგების მოძიარობის დროს ხშირათ ერთს რომელსამე მიზეზს გამოანახევენ, მას ხელს ჩაჰკიდებენ, მხოლოთ მას ხედვენ და გულწრფელათ აღიარებენ, რომ ეს ერთათერთი მიზეზი, მათგან ნაჩვენები, არის საფუძველი, ნიადაგი და უმთავრესი

ფაქტორიც ცხოვრების ცვალებადობისა, მრავალ-ფერობისა და სხ. მაგრამ ეს ასე არ გახლავს. ცხოვრება, ამა თუ იმა ფილოსოფოსის განყენებულს ფორმულას, (შედგენილს მოსაზრებას,) არ ემორჩილება და თავის ძალების ზე-გავლენით მოქმედობს და მღელვარებს. ერთ მხარეობა და ერთ-მოკეობა, უფრო მკათაოთა და ნათლათ ემჩნევა ესრეთ წოდებულს თეორიას ეკონომიკრის მატერიალიზმისას, რომლის ერთგულნი მქადაგებელნი ჩვენში ბბ. გ. მიახმე:ლი და ნ. ჟორდანია არიან.

I

მოთხოვნილებების მხრით, მთელი ორგანიული ბუნება შეგვიძლია გავყოთ ორ დიდ ჯგუფათ. სულიერი არსებათა ერთს ჯგუფს აქვს, მხოლოთ სამგვარი უმთავრესი მოთხოვნილება: — სასრფლობის, აიკისდაცემის და მრავლობის. უმეტესი ნაწილი ცხოველებისა ამ სამგვარ მოთხოვნილებათა ფარგალში ტრიალებს. ეს ცხოველები უფრო მარტივის ავებულებისა და სადა ფორმის მექანიანი არიან. მათ სულ ქვედა საფეხტები უჭირავთ ევოლიუციონური, კიბისა. მაღლა საფე:ურებზე, კი მედღღურათ დგანან მეორე ჯგუფის წარმომადგენლები. მათ მეოთხე მოთხოვნილებაც აქვთ, — მოთხოვნილება ამაშ-შობისა, დროს გატარებისა, \*) ადამიანიც ამ მეორე ჯგუფის ცხოველებს ეკუთვნის; სულიერი მოთხოვნილებანი ადამიანისა, მხოლოთ მეორე მხარეს წარმოადგენს უკანასკნელის მოთხოვნილებისას. ასეთია ფაქტი, რომელსაც ეცრავი უარს ვერა ჰყოუს.

ბიოლოგიაშიაც და ფსიხოლოგიაშიაც საზოგადო კანონათ არის მიღებული, რომ ის ნიჭი და ის მოთხოვნილება, რომელიც პირვანდელი და ძირეულია, უფრო დიდ გავლენას იჩენს, უფრო ძლიერია და გადავარების დროს უფრო გვიან ისპობა და ამოიკეთება. ეს ხ-მ ასეა.

ახლა ის ვიკითხოთ, იმ ზემო ჩამოთვლილ მოთხოვნილებათა შორის რომელია უფრო ძირეული და თავი-და-თავი? თქმა არ უნდა, რომ ასეთია მოთხოვნილება საზრდობისა, მსაჰამისა და გამოკვებისა. თუ სასმელია და საქმელი არ გვექვთ, მაშინ თავის კვებაც არ შევიძლიათ. თუ არ იკვებებით, ავებულება და მთელი სხეული გისუსტდებათ,

\*) აკუმ:ლებს, ორგანიზმისას, დიდი გავლენა აქვს მოთხოვნილებათა რაოდენობის ხსიათზე. მაგ. მწერისა და ფრინველის სულიერა მხარე უფრო რთული და მრავალ-ფერია, ვიდრე სსკ: ცხოველებისა. ეს იმიტომ, რომ მათ ჰერკეს და ფრთები აქვთ და ფრენა შეუძლიათ.

\*) ჩვენ აქ შედეგობაში გკუბს 1882 წ. ჟურნალ „კვირისში“ დეკტ:ლი წერილები: „წრილია ჩვენ საზოგადო მოღვაწეთა შიხსით“.

გიწოდებდნენ, და თქვენთვის თავის დაცვა შეუძლებელია—არსებობისათვის ბრძოლაში,—ამ ბრძოლაში მხოლოდ ჯან-საღი იმარჯვებს. ჩანს, თუ პირველი მოთხოვნისებზე დაუყვარებელი და მისი პირობითა, მეორეც მოკვდილია და მისი სხენეც არასდროს. ამ დროს მესამეს ჩაღა მიუღწის? ისიც ისპობა, ჰქრება, თუ გმობათ, თუ დასუსტებული ხართ, წარმოშობაც არ შეგიძლიათ. არ შეგიძლიათ იმტომ, რომ უსაზროლოდ მოკვდებით და მკვდარი როდის იყო, რომ მრავლდებოდა და შეილებსა შობდა? მეოთხე მოთხოვნისების შესახებ არც კი ღირს ბაისი. ცხად და უტყველია, რომ თავი დათვი და ძლიერი საზრდოობის მოთხოვნისებზეა. თუ ეს უყარსკნელი მოისპო, მაშინ სხენიც იყვითებან, ქრებან. უფრო მეტსაც ვიტყვი—უამ მოთხოვნისებზეთ სიფრცხვანვე მოსპობილია. სიცოცხლე და მისი მრავალფერობა კი უყვარს ყოველ არსებას, ყოველ სულდგმულს და, რაც ამ სიცოცხლეს სპობს, გაურბის. მაშასადამე, ვისაც სიცოცხლე უნდა, მან საზრდოობის მოთხოვნისებზე ყოველად უწინარეს უნდა დაიკმაყოფილოს. ეს ასეა, მაგრამ არც ის არის სახერხი, რომ ამ მოთხოვნისებზე შეაჩერდეს. აქამე ის არის, რომ თუ გონებითი მოთხოვნისებებს, მოთხოვნისებებს თამაშობა—ღროს გატარებისას მოისპობ და აღმოიფხვრი, იმ შემთხვევაში, დარწმუნებული უნდა იყო, ზედა საფეხურიდან ქვედაზე ჩამოხტები: ნიქთა და მოთხოვნისებათა ასეთ-კლებასა და შემიკრებას გადაგვარება ჰქვია, გადაგვარება კი ის მოღვეს, რომ თქვენ ღღეს რომ ადამიანი ხართ, ზედა ადამიანი აღარ იქნებით, შეიძლება ცხველი იყოს, ცოცხალი არსება, მაგრამ ადამიანი კი არა. ხართ ჰია, ანუ მატლი, ან ჩჩეილ-ხორციანი და ან კიდევ სხე, მაგრამ ფრინველობასა და ძეძუ მწოვართა გვარს კი უნდა გამოეთხოვოთ. ღირსია აღნიშვნისა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ამ მოთხოვნისებებთა მთელი რიგი მკერდით არის დაკავშირებული და ერთმანეთზე დამოკიდებული: ერთი მოთხოვნისებზე მეორეს გამოიწვევს ხოლმე და ერთმანეთზე გავლენა აქვთ. თუ საზრდოობის მოთხოვნისებზე გამოქმედდეს, თუ თქვენს ყოფა-ქცევასა და მოქმედებაზე მას ღიდი გავლენა აქვს, მაშინ ისიც ცხადია, რომ მეორეს, მესამესა და მეოთხე მოთხოვნისებებსაც შესაფერის ზედა-მოქმედება ქვენება—მასაც თავისი წელილი უნდა მიუზღოთ.

თუ რა ღიდი გავლენისა შეიქნება ხან-და-ხან მეოთხე მოთხოვნისებზე, ამას საკმაო ცხადთ გვიჩვენებს თანამედროვე ცხოვრება. მართალია მოთხოვნისებზე თამაშობა-ღროს გატარებისა და გონებითი საზრდოობის ძირეული არ არი და იგი ევოლიუციის ბოლოს,

მხოლოდ ზედა საფეხზე განვითარდა და გამოიჩინა, მაგრამ ამის მიუხედავად, იგი ახლანდელ ცხოვრებაში ჰარბობს თვისი ძალით პირენდელს, თანდაყოლილს \*) მოთხოვნისებებს—მოთხოვნისებებს წარმოშობისას, გამრავლებისას, რაღვან ღღეს ფრიალსა და სხეულს შეიქნა ოთხე მოთხოვნისების სრული დაკმაყოფილება, ამიტომ თანამედროვე კაცობრიობის ბევრი განათლებული წევრი დაუკმაყოფილებლათ ტოვებს წარმოშობის, გამრავლების მოთხოვნისებებს, მის მაგიერათ გონებითსა და სულიერ მოთხოვნისებებს იკმაყოფილებს. აი, როგორ შეიცვლება-ხოლმე ზეგავლენა სხვა-და-სხვა მოთხოვნისებებთა! თუ დიუბუა დე-რაიონის დაუფრეთ, მაშინ იმასაც გავიგებთ, რომ ძველ ქვეყანას შესისხლო-ხორციელებული არა ჰქონია ჰეშეარებისაღმი მიღრეკილება და რომ ეს მიღრეკილება აღმოაცენა და განამტკიცა მხოლოდ ახალმა ისტორიამ. მართლაც და გალიღეს რომ ეს მიღრეკილება არ ჰქონდა ძეაღსა და რბილში გამჯდარი და მარტო კუჭზე ზრუნვით ყოფილიყო გატაცებული, მაშინ რათ ახირდებოდა და რათ იტყობა—ღღდა-მიწუ მარტო ბრუნავს. ისტორიის განმყოფობა და მიმდინარების ღროს კაცობრიობას ბევრი რამ ახალი მოთხოვნისებზე, ახალი მიღრეკილება და მისწრაფება შეეძინება ხოლმე და მიემატება. ეს ზრდა მოთხოვნისებათა და მიღრეკილებათა წარმოადგენს განვითარებას და წარმატებას. და ამავე ღროს ადამიანის ბუნება და ხასიათიც იცვლება, სხეულებზე. უტყველია, ეს ახალი მოთხოვნისებებანი შესაფერისავე გავლენას იქონიებენ ადამიანსა და საზოგადოებაზე. თუ სოციალურსა და უტყვის ბუნების პირობას აქვს, გავლენა და ზედმოქმედება საზოგადოებისა და ისტორიის მოვლენაზე, არა ნაკლები გავლენა აქვს აგრეთვე ეთიურ კანონებს ადამიანის ბუნებისას. ადამიანის ბუნება და ხასიათი კი, ისტორიისათნ ერთად დაითი-ღღე იცვლება; სხეულებზე და რთული ხდება. უყველი-ნაირი საზოგადოებოა—ამბობს სპენსერი—ახლათ ფხვანდგმული იქნება, თუ ძალზედ განვითარებული, ისეთს მოვლენათა წარმოვიღვენს, რომელიც შე-

\*) თანდაყოლილია რომ ვამბობთ, ვამბობთ მათხეულმა იგი უფედმართად არ გაიგოს და წყნ ისეთი ახრი არ მოგვეწეროს, რაღ სრულეობითაც სასუში არა გქონია. მეტაფიზიკებიც სმართ თანდაყოლილ თვისებაზე დაბარკობენ. მართალია რომ ვთქვით, იმ თავიდანვე თანდაყოლილი არავითარი თვისება არ არის. ყოველგვარი თვისება მხოლოდ ევოლიუციის განმყოფობაში განვითარდა და მეტაფიზიკებით განმტკიცდა მათხეულმა. ახლანდელ დაბადებულთათვის კი ეს თვისება თანდაყოლილი იქნება.

გვიძლია დავაბრალოთ ან ამ საზოგადოების შესაძგენელ მირაჟენებათ თვისებას ან და იმ პირობათა, რომლებშიმაც იმყოფებიან თვით ეს პიროვნებანიო\* \*). ქვევით იგივე სპენსერი გვეუბნება, რომ სხვა-და-სხვანივითი გინდა გონებით პროდუქტი, რომელიც განუწყვეტლივ იკრიბება და უფრო რთულის ხასიათისა ხდება, ფაქტორების ახალს რიგს წარმოადგენს და ცვლილებების მოსახდენათ, დიდი გავლენის მიზეზათ შეიქმნება ხოლმეო. დაფასება ამ პრო-

დუქტა (ნაწარმოებთა) მნიშვნელობისა ფრიად ნაძენლო საქმეაო \*). ევიგონები, ეკონომიური მატენრიალიზმის თეორიისა კი სრულებით აქარწყლებენ გავლენასა და ზედ-მოქმედებას ამ ახალ ფაქტორებისას, რომელთა რიცხვი ცივილიზაციის (განათლებლის) ზრდისთან ერთად უფრო-და-უფრო მატულობს. მაგრამ ენახათ, თუ როგორის სამართლიანობით ხსნის მათი მოღვრება სხვა-და-სხვა ფაქტსა და იველენას.

(შემდგო იქნება)

ფხ.

\*) იხ. Основания социологии т. II § 6.

\*) იხ. § 12

### ს ი კ ე დ ი ლ ი.

**ფ** აშ ეს ყოფილა სიკედლიო... მეტი არაფერი?! თვალები დახუჭული მაქვს, მაგრამ ვნებდა, გული აღარ მიძვრის და ვგრძნობ კი. გონებაც ისევ თავისავე რიგზეა. მხოლოდ სხეული დამდუნებია: ადგომა მინდა — ხელ-ფეხს ვეღარ ვანძრე, ხმის ამოღება მსურს — ენა არ შემორჩილება. ჰეეე, მოდი და ირიკავე ახლა!..

მადლობა ღმერთს!.. რა გეწყობა!.. ენახათ მაინც, კიდევ რალა იქნება? — „სიკედლი წერააო“ ამბობს ხალხი. „უმიზეზოთ მე არავის ვერიო,“ უთქვამს სიკედლის და მართალიც არის. — ჩემი სიკედლის მიზეზი რალა იყო? ანთება!.. ეს ანთება რამოა გამოიწვია? აბა, დუფდლოთ ყური, საზოგადოება რას ამბობს?! „დაუღვეოი კაცი იყო, თავის პატივი არ იცოდა, თბილათ ვერ იცემადა, ცივ-თა-ხში იღვა, საზოგადოებო ტანისამოსით დალიოდა და სხვანი“. ფრე! ვერ უყურებთ?! ბრალს მევე მდებენ. ახირებულნი თუ გინდათ, ეს არის თქვენმა მზემ!

„ვის არ უნდა თავი მეფეთ და ცილი დედოფლოთა“ განა მე კი მძულდა ჩემი თავი, მაგრამ საშუალობა?.. „არა ვე ტყუილია, მავას რა ბერი რამ უნდოდა? — სარწმუნოთ გაიძახიან — ჩვენთვის ეთქვა ჩვენ მოუხერხებდით მაგ საშუალებასაო!“ ტყუიან თქვენმა მზემ! ჩემებრ საწყლებს მე თვითონ არას გამოვართმედი და მდიდრებილთვის რომ მიმეძაროთ — გამკიცხაუდენ, სირცხელიში ჩამაგდებდენ და სირცხელის ისევ სიკედლი ჯობია!.. და რა ექვტ ნეტავ, საბოდიშო? ან აღრე ვინ რას თხოვდა მავათ და ან ახლა ვინ რას ესაყვედურება, რომ პირაქეთ მკედარს მამტყუნებენ? ასეა ადამიანის ბუნება!.. თავისი თუ არა ენარჯება რა, თავის გამოჩე-

ნას არა უჩრჩენია რა. კუდაზიკობა ცხოვრების ერთი ჭახრათვანია. ემ, რაც იყო — იყო!.. ახლა გვიანლაა ყოლოფერი. მადლობა ღმერთს, რომ ჭიჩისუფლები არ დამესწრენ, თეარა შეიქმნებოდა ერთი „ვაი-უშელებელი“, ტირილი, ყვირილი, მოთქმა თე-ცემა!.. ყველაფერი რასაც კი უფულო ჩვეულება მოითხოვს და ის თქვენ მტერს, რაც მე დღე დამადგებოდა! სულით დაგიტანჯებოდი. ახლა კი... მაგრამ, რომ არც ახლა ვარ მოსვენებით?..

ეს აუარებელი ხალხი, რომ შეკრებილა, რალა ჩემო? სიკაცსელში არ უკითხავართ, ავადმყოფი არ უნახავართ და ახლა კი თავს იტეხენ სიკედლის შემდეგ?!.. სინანული? სინანული კი არა და ის კიდევ!.. რა ბძანება!.. ყველას თე-თავის საკუთარი გულის საუბანი რამა აქვს და მკედარს მიზეზათ მიღებს... მამადლის. ზოგი მხოლოდ მიტომ მოდის, დარწმუნდება: მართლა მოკელი თუ არა? ზოგი ამბობს გუნენებაში: ცოცხალი ხომ მინახავს და მინახავს, მოდი, ახლა მკედარსაც დაეხედავ როგორიაო? ზოგი არა ფიქრობს და ზოგი რას? ზოგიც მარტო ფენის ხმას აჰყოლია!.. საზოგადოთ კი ყველა იმ აზრისაა, რომ უკანასკნელი ვალი უნდა მოეხიდადოთო. დიდება შენ სახელს ღმერთო! პირველი ვალი როდის ახაოვდათ, რომ ამ უკანასკნელს აღარ იეიწყებენ? მაგრამ ჩანს, რომ ეს მეორე უფრო ადვილი და ვასართობი ყოფილა!.. აღბათ ამის მიზეზია, რომ ხალხმა თავი მოიყარა და სახლში ტევა აღარ არის... საკვირეულია, რომ ხმა მალლა ლაპარაკს ვეღარავინ ბედავს მკედართან!.. თითქოს ეშინოდესთ ჩემი... უკულმა სამართალი თუ გინდათ, აბა, ეს არის!.. სიკუცხლში არავინ მერიდებოდა, მიყვიროდენ, უსამართლობით და ცილის წამებით მაყურებდენ და ახლა კი მართლის თქმასაც ვეღარ ახერხებენ ხმა მალლა?..

მხოლოდ ჩორჩილობენ. დიახ, ჩორჩილობენ, მაგრამ, სული ფხიზელი ყოფილა, ვერაფერს გამომაპარებენ... ყოლიფერი მესმის: „ჰეეე!—ეს არის ჩვენი სიცოცხლე? „მოვიდა—იცხოვრა, მოკვდა—წავიდა და გაქრა! თქვა ერთმა ჭკუის კოლოფმა დიდი შეფერებით, თითქო საკვირველი რამ ეთქვას ახლათ.—„დიიიახ! ეგ არის მსოფლიო კანონი!“—უპასუხა თავის ქნევითა და თვალმის გაჭყვტით მეორემ და გაწუმდენ.—„საშუბარია ახლანდელი ქართველების მდგომარეობა: აი ახლა ეს, ნიჭიერი კაცო, იყო, მაგრამ უკუღმართათ გაატარა თავის დღე და სოფელი! ვერც თავის თავს არაო რამ და ვერც ქვეყანას!.. შეეძლო დაწინაურებულიყო და კაცო გამხდარიყო! ახლა კი თითქოს არც კი ყოფილიყოს ქვეყანაზე“. ბრძანა ერთმა ბობოლამ. „მართალსა ბძანებთ, მაგრამ ეგ საზოგადო, საყოველთაო სენია დღეს.“ მიუგო მეორემ და გავიდენ მეორე ოთახში. „ღმერთმა ატონოსს, მაგრამ უკუდი ენის პატრონი კი იყო: თვითონ არას გერჩოდა, მაგრამ თუ გამოიწვევდი, ერთს მისთანას გეტყოდა, რომ გულიდან ალაო ამოგცილდებოდა!.. მაგის შიშით ხმაველარ ამოგველო!.. ნამეტანი იყო!.. ნამეტანი!.. თავემი, ბრიყვი, უზდელი, შეუბოვარი!.. ეჰ, მადლობა ღმერთს მოერჩით... ვადეჩჩითი!..“ წაილაპარაკა ერთმა.—„რას დაფიქრებულხარ?“ ეკითხება ერთი ეინმე ახალგაზდა გაქალაჩებულ პუბლიცისტს. ამაზე ეფიქრობდი.—„აძლევს ჰასუსს და ათითებს ჩემკენ—მაგის ნიჭის პატრონს შეეძლო ბგერი ნაყოფი მოეტანა ჩვენი ქვეყნისათვის და უნაყოფოთ კი ჩაიარა მაგისმა შრომამ! ეს სულ მისი ბრალია, რომ მე არას მიჯეროდა და თავის ნებაზე დადიოდი“. „კაცო, შენ ჩემი თქვა!.. არ დამიჯერა, არ იქნა, ვერ დაეწყებე ჩემბეზურათ წერა!.. ორიცოლი წლიაა ვერც ვერად და ქართული კი მაინც არ იმყოფდა... ვერ ისწავლა!.. თუ არ გადავსწორეთ მაგის ნაწერები, კაცს არ წავიკითხება!.. რაღაც უუნაური ენა... იმერული!..“ ჩაერია მეორე—„ეჰჰ!.. დირს კი ვადასასწორებლათ? ასე არ მოიბოება აზრი მაგის ნაწერებში, როგორც უჩიის სახლში მირონი! ცარიელი ლაბუტობა და ლახლანდარობა!..“ დაუმატა მესამემ. „ეგ ხომ ყველა მართალია; მაგრამ მაინც უნდა პატივით დავასაუღლოთ ქვეყნის დასანახავათ!.. მე სიტყვასაც კი ეამზადებ“. განაგრძო მეოთხემ.

„მეც! მეც! მეც!.. ვაიმეორეს სხებმაც და გავიდენ. „რა გშენის ეგ შავი კაბა! წაულაპარაკა ერთმა ფრანტმა ახალ-გაზდა ქალს. „იჰ, რა დროსია?“ მიუგო სიამოვნებით გაწითლებულმა ქალმა და ცბიერათ შეხედა.—„სიყვარულმა უღრობა არ

იცისო!“ უპასუხა ფრანტმა და გაწუმდენ.—ამგვარი რამეები ბგერი მესმის—გულზე ესკლები, მაგრამ სულს ხომ გული არა აქვს!.. სსსუუუ!.. ავერ პატარა ბავშვიც ეკითხება დედას: „დედიკო, ახლა ლექსებს ალაო დაწვლს?“

—არა შეილო! უპასუხებს თვალ-ცრემლიანი დედა.—ველარ დაწვლს.  
—ლატომ?  
—რატომ და აქ ალაო იქნება. ფუფუღლასთან წაიდა.

—იქ ლას გააკეთებს?  
—იქ... შეეხვეწება ფუფუღლას, რომ ნიკო გაბენდინიერ და კარგი კაცი გამოიყვანეო!.. შენი შეამდგომელი იქნება შეილო და შენც ილოცე!.. შევედრე ღმერთს!.. პაუჯარი გამოსახე!—აი ავერ მღვდლებიც მოდიან. პანაშვიდი უნდა იხადონ!..

გამაღობო შენ უფალო, რომ ეს ერთი ჭირის უფალი მაინც გამჩენია აქ!.. ეტყობა სოფლიდან არის ჩამოსული.

აი შემიძლენ... სანთლებს არიგებენ... ანთებენ!.. „მამაო! მიდის, ერთი ახალგაზდა მღვდელთან და ეუბნება: „მამაო, მგონი, უცბო ენაზე აპირობთ პანაშვიდის გადახდას?“

—დიახ. მაშ როგორ?  
—აჰ, ნუ ინებებთ მაგას!  
—კი მაგრამ, აქ ბგერი მისთანებიც არიან რომ არ იცან.

—მე მგონია, თქვენ მკედრისათვის იხდით პანაშვიდს და არა ცოცხლებისათვის! აწყვეტებთ სიტყვას.

—მკედრისათვის?.. ჰმ.—მაგისთვის სულ ერთი არ იქნება? შენ მტერს ნურა გაუგია რა, მაკან ველარა ვაგოს რა“. წაბუტბუტა წვერ-ცამეტამ, მაგრამ აასრულა კი, ძალა უნებურათ, ახალგაზდის რჩევა.—ამიგეს წესი!.. გათავდა!.. შეიქნა ჩოჩქოლი. დამიპირეს ვასენენა!.. მაგრამ წამოადგა წინ ისევე ის ახალგაზდა და ანბობს: მოითმინეთ ბატონებო!.. უნდა ეს ლექსი მოისმინოთ, სადაც ვანსენებულის უქანასკნელი სურვილია გამოცხადებულო!.. ამოიღო და წაიკითხა:

ს ნ დ ე რ ი ო :

ოთხი ფიცარი კუბოსთვის უბრალო, შეუმკველად და ოთხი მუშაც წამლები, რომ გამასვენონ ხელდა.

არც გვირგვინები, არც სიტყვა არცა რა ცერემონია!..

არ მინდა!.. მოლას ანდაზა  
მეც ბეერჯელ გამოგონია.

მინდა რომ ხალში დამარხოვნ,  
სადაც არ იყო სხვა მკვდარი!..  
ზაფხულმა მწვანით შემოსოს  
და თაველს მაყრიდეს ზამთარი!..

მზე საულავს სხივებს ტყორცნიდეს  
დაქათათებდეს ზედ მთვარე,  
და ვარსკვლავები ჭიკჭუკა,  
მიზნდით მოსხივ-კისკარე:

დილ-დილით გასაღიძებლად  
შაშვმა მისტინიოს ზეესური,  
რომ მის მალალ ბან-სალამურს  
სიკედილმაც დაუგდოს ყური.

სალამოს ვარდის ჩიტუნამ  
ჩასკენით ჩამკენესა „ნანინა“;  
იქვე მახლობლათ ბუჩქებზე  
მას აერჩიოს რა ბინა!..

და ამდენ ნატერის გვირგვინათ  
ერთსაც დაესახე სხვა რამეს,  
კაეშორსა სიკედილ-სიკოცხლის,  
ორივე საფლის სიამეს:

ის მიჩრენია ძვირფას ძეგლს...  
ყოველ გვარ სანახაობას,  
რომ იქ უქმე-დღეს ვხედავდ  
მოზარდულ ქართველ-თაობას!..

იქ თამაშობდეს, ცელქობდეს,  
ეხორცებოდეს ქართველ-ერს!..  
და თავისუფლათ დამღერდეს  
ძველებურ „მრავალ-ჭამირს!“

ყველამ ყური დაუგდო. მოისმინეს და სიცილი დაიწყეს. მხოლოდ მეთათრებმა კი თქვეს; „ახლა გვიანდა არის, მომზადებული ვართ, ხალხი ცერემონიას ელ-

ის... უცდის და ხომ ვერ მოვატყუებთო!.. ამას რომ ყური მოეჭკარი, გამეცინა გუნებაში: არა, მეც თუ სულელი არა ვარ, სიკოცხლში ვინ ამისრულა სურვილი, რომ სიკედილის შემდეგ გამოგონან—მეტქი!..—დამადეს ხელო და გამიტანეს. დიდძალ ხალხს მოეყარა თავი; ქუჩები სულ გატენილი იყო, მაგრამ მწუხარება კი ვერაფერს შეეატყვე—ისევ ქალებს, ბოეშებს და უბრალო მდაბალ ხალხს უფრო ეტყობოდა!.. სხვები კი მოვალეობას იხდიდენ.—უფრო მეტი სერიის ხალხი იყო!.. მე გგონია სახრბელაზე რომ ვინმე წაყვანათ მაშინაც ისევ ეს და ამდენივე ხალხი მოგრაოდებოდა.—სულ ტატით მიმსვენებენ.—ეს გვირგვინები რაღა ოხრობაა? გგონილა ამდენი?! სიკოცხლში გამოიბოადენ და ახლა კი უკან მიამდევნენ?.. „წმიდინდააო დმევეროთა, წმიდინდააო ძლიიიეროთა!“ ვაღობს მოსწავლეთა გუნდი.. ეს კი არა მწყინს!.. მშობლიური რამ ხედება გულს!.. მაგრამ, მაინც, ნეტა, მალე გათავდებოდეს ეს მსახიობა!.. უპ, როგორც იქნა! ძლიეს არ მიმასვენეს საფლავამდი!—მადლობა ღმერთს, ახლა კი ჩამდებენ პირღია საფლავში და მოვრჩები, მოვისვენებ!.. მაგრამ რა ბრძანებაა?.. აქაც კიდევ ერთი ჭირი... უარესიც შემართება: მებევეიან ვარს, გაუკეთებიათ რაღაც მადლობი ადგილი, დგებიან ზედ ვილა-ე-ვლაკები და ასაქსაქებენ ენას!.. რას არ ამბობენ, ღმერთო ჩემო!.. „ჩაესენა მზეო“, „დაბნელდა მთვარეო“, „მოწყდენ ვარსკვლავებიო“ და სხვანი. ასე ვატლევაც იქნება?! მერე, ვინ ამბობს ამ სიტყვებს, ასე ურცხვით? სულ ის ხალხი, რომელსაც სანამ ცოცხალი ვიყავი, ჩემი ლანძღვისა და ცილის წამების მეტი არა გაუკეთებიათ რა!.. ჰე, ახლა კი მომასწერს და კულაბიკაობენ! ოპ, რა შეურაცხყოფა ეს ამათი, ფარსევლოური სიტყვები და ცბიერი აღერის!.. ამათ უნდათ, რომ მჭვერ მეტყველობით თავი გამოიჩინონ და გული იჯერონ.—უპ, ძლიეს არ გაათავეს!.. მადლობა ღმერთს!.. მადლობა ღმერთს!.. ახლა კი თავს მანებებენ!.. ძლიეს არ გადაერჩი!.. აი დახუტეს კუბუსთავი... აქედენ... აკაკუნებენ... ჩამიშეეს სამარეში.—მიწას მაყრიან... ახლა კი მშვიდობით ჩემო სამშობლოე!.. ენახოთ იქ რაღა იქნება.

Handwritten notes in Georgian script, including the number 1935 and other illegible characters.

# ავალმყოფ მგოსანს

(გუქლენი აკავის)



ამხნევი სულით, გამხნედი!  
არ, არ გისუსტოს სხეულმა!  
არ დაგიმონოს, მგოსანო,  
საწუთროს ხრიკმა წყეტლმა!

კიცხვა და ლანძღვა უმართლოთ  
ხშირია, ქვეყნის მეფეა!..

შოთამ სთქვა: „ვარდი უყვლოთ  
არავის მოუკრეფია!“

სანამ ცოცხალ ვართ—გედენიან,  
არ მოგივლიან კბენასა,  
ჩირათ აგდებენ მოყვასის  
ღმობიერისაც—წყენას.

სხვა-და-სხვა ჰერის წყალობით  
ჩენი ცხოვრება—მტერია,  
და კიდევ აღამიანიც,  
აღამიანის მტერია!..

დახე ცრუთ ენას, მტერთ შურსა,  
სოფლის ჰერსა და ვარამსა!  
დიდებულს მგოსანს უციცნი  
ეის გიწუნებენ კალამსა?!

მაგრამ იცინე ჩვეულებრ,  
გულში სთქვი, ენა მზიანო:  
„წყალნი წაეღე და წამოეღენ,  
ქეიშანი დარჩებიანო!“

გეტყვი, მოხუცო მგოსანო,  
თუმც რა მრჯის შენი სწავლება?..  
თვით უწყვი, ჩენი საწუთრო  
სხეე რაა, თუ არ წვალება?!

მიტომაც გემართებს მხნეობა  
გეკაკ-სალკლდედეთ გულითა!  
ღე გეკიცხონ უმართებულოთ,  
ნუ დაეცემით სულითა!

სილოვან

ქუთაისი 15 გიორგობითვე 1894 წ.

## საყურადღებო აზებები



სუთაისი \*). გავიგეთ რა, ჭეშმარიტათ სასიხარულო და სასიამოვნო ამბავი ჩენი დიდათ პატრიცემული და უსაყვარლესი დიდებული პოეტი აკაკის ავთამყოფობისაგან მოარჩენისა და უყუთ გახლდომისა, ჩენს სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა და ყველა დიდის აღტაცებით მიეცემა ამ ჩენ დიდათ სასიამოვნო და ჭეშმარიტათ სასიხარულო ამბავს. ჩენ გულის ძგერით ევლოდით ამ ამბის შეტყობას და უზენაეს ევედრებოდით და კვლავ მამიდრებით, რათა მრავალ ჭამიერ ჰყოს მისი ნაყოფიერი სიცოცხლე სამშობლოს საბედნიეროთ და სასიქადულოთ ჩენდა. ბ. ა. ფ—ძეს მოახსენეთ ჩენ მაგიერათ, რომ მისი ნასროლი გესლიანი ისარი და ტალახი მზისაღმი, მზეს ვერ მისწვდება და ვერც დაბნელებს და თვით მსროლელს თავზე დააცევა.

\* ამ წიწილს შეუცვალეთ ვებუჯავთ. ვისაც სურს შეუღლა „კვალის“ რედაქციაში ნახოს დედანი ამ წიწილსაც და სსკეპისაც, რომლებიც დაბეჭდილი იყო. რედ.

სულს გაწრთ ქუთაისის ქართულ ნოქართავანი, აკავის დიური ნიჭის თაყვანის შექმენი: მ. ღვალაძე, ი. ბ. ეფიანია, ნ. ბაქრაძე ამაკოპი. მეფერიშვილი, ს. ქოქინაძე რუსაძე, ა. ევანია, ნ. ღვალაძე, გ. ჭავჭავაძე, ქ. გორგაძე.

როგორც შევიტყუე, მალე დამთავრდება ბეჭედი ახალი წიგნაკისა „ქართულები სპარსეთში და სპარსელი ქართველი ათამ ონიკაშვილი“.

ქუთაისიდან მოკვიედა ე. ბეჭენაშვილის გამოცემა „სიმები“, რომელშიაც „კვალის“ თანამშრომლის სილოვანის ლექსებია დაბეჭდილი. წიგნი ღირს 5 კ. და სუფთათ არის გამოცემული.

სოფ სურება. (ოზუეკეთის მარა) სურები არის მივარდნილი სოფელი, ტყიან-მთებით გარშემორტყეული, რის გამო ამ სოფლებს მისელა მოსელა უჭრადებათ ხოლმე. ახლო მდებარე სოფლებში. მთიდან ჩამოუღის სოფელს ერთი მდინარე „სუფსა“, რომლის ნაპირებზე სახლებია აქეთ გაშენებული სურელებს. სოფ. სურებ იყოფება ოთხ ნაწილათ: 1) ქვემო სურები, 2) შუა სურები, 3) ზემო სურები 4) ზე თავ

სურები. ქვემო სურებში დიდი ხანია არსებობს ისიღო-  
რე რამიშვილის მოღვაწეობით სკოლა და ჩინებულა-  
თაც მიღის ამ სკოლის საქმე; ამის დაარსების დროს  
ბევრი ეხვეწენ თურმე ქვემო სურელები დანარჩენ  
სურელებს: შევერთდეთ, ერთი სკოლა დავაარსოთ  
მტკიცე და შეურყეველ ნიადაგზეო. მაგრამ სულ  
ამაოთ ჩაიარა ამ თხოვნამ, ასე და ამ გვართ ვერც  
ქვემო სურების მცხოვრებლებს შეეუფერთლით და  
ვერც საკუთრათ დავიარსეთ სკოლა; რომ იტყვიან:  
აქ მოწედი, იქაც მოწედიო\* სწორეთ ჩვენზე ით-  
ქმის. ბ-ნი მკითხველო, უმთავრესი მიზეზი სკო-


არ ასწავლით წიგნსო? გიპასუხებენ: არც ჩემთვის  
უსწავლებია მამა ჩემს, მაგრამ ეცხოვრობ, ჭადს ეჭამ,  
ვის ცალია სკოლის გამართვისათვის, მხოლოდ უსაქ-  
მო კაცი თუ მოკლდება მაგაზე!.. ერთი სიტყვით  
ამ ნიარ ბედ-იღბალში გვეყავს ბავშვები. მამა მღელღებს  
და ბ-ნი მამასახლისს შეუძლიათ შემწეობა მოგვეცნ  
და არ უნდა დავიფიქრონ, რომ ვალდებულნიც არიან,  
მაგრამ რას იზამთ, როდესაც ეს პირები შევლის  
მაგიერათ გეშლიან კიდეც საქმის დაწყებას. კარგს  
იზამდა ბ-ნი მახრის უფროსი, რომელიც, როგორც

**გაერგინები იმპერატორის კუბოს შესამკობლათ.**



მზრავს მწერლობის წარმომადგენელთაგან. ლის დაუარსებლობისა... არის ჩვენი დაუდევრობა-  
და სწავლა-განათლების სარგებლობის შეუგნე-  
ბლობა, რომ ჰკითხოთ აქაურ გლეხსა და  
აზნაურს: რატომ არ იმართეთ სკოლას და შეიღობს

მოსკოვის სამცნარიო საზოგადოებისაგან. ავესმის, დიდ ყურადღებას აქცევს სწავლა-განათლე-  
ბის საქმეს, ამ სასოწარკვეთილებაში მყოფ სურე-  
ბლებსაც მოგეპქევედეს ჯეროვან ყურადღებას.  
გ. კოწავა



**რ ა ზ ა**


(მზავრის შენამწეუბი

**I**

**შ**ემისრულდა კიდეც გულითადი სურე-  
ლი! მატარებელმა მიმაქროლა ტყუბულის  
საღურთან; ვიქირავე იქ ერთი ჯახრიკა  
ცხენი, გავიყოლე მზღებელი და შეუდექი ნაქერალის

მთას. შუაღდეა; ირგელიე აღმული აღის ყველაფერს;  
ავესტოს პაპანაქება სიცხეს შეუგუბავს ჰაერი და  
მიხუთავს სუნთქებას... თუმცა ამ მაღალი მთის ბილი-  
ის მოსავს მუხის, რხილის და წაბლის სქელი  
ხეივანი, მაგრამ მაინც ვერ მფარავს სიცხისაგან.

ავედი დიდის წვალეობით ნაქერალას მწვერულ-  
ზე; ავათრიე ჯახრიკაც და ვადმოვიხედე უკან. ჩა-  
ნდა მხოლოდ ვეღლისგან ვადმწევაზი მინდერები,  
აშუშული ყანები, შეღებლიყო ჰაერიც კვამლის  
ფრად, თითქო უკიდა ყველაფერს ცეცხლი და იწ-  
ვის. დალილმა და შეწუხებულმა ვიბრუნე პირი



განხილვა იმპერატორის ალექსანდრე მეორის შესახებ ტყუდობის, სამედიცინო კონტრე მისიონერის კრებულში.

ჩრდილოეთისაკენ; იმ წამს შემეხო გაქარხლებულ სახეზე გრილი, მაცოცხლებელი სიო და უაღრესა ტბილათ გამბურებულ გულს, მასთან ერთად უცხრიე დამებნატა თვალწინ დიდებული სურათი. ერთ მხრით ეშვარ გარუჯულ, გადამწვარ მიდამოს, მეორე მხრით კი, იქვე რადენსამე ნაბიჯს გადაღმით, იშლებდა შეენფერი ბალი. დიდს ხელოვანს არ დაუშურავს თვინ, რათა შეემყო უხვით ეს წალკოტი, ეს ხეობა და ირგვლიე მოხდენით შამოფარგ-მთული მივები.

შემკულია ნიადაგი წყავის და შვერის ბურქებით, რომელთაც გააქვს შვას შუქზე რალაც მზიბლავი, მოთბილისმე ელვარება. შიგა და შიგ წამომდგარა ამაყუთ შოლტივით სწორი ნაძვი; მას ამოღვამიან ფიჭვი და ურთხელა, აგერ ხალისობს ევრცხლისფრათ წიფელი და თექურა, მათთან გამომდგარან ამაყუთ დიდ ფოთოლა ქაღალი და ლეკა. მისი კალთებში მორუხუნებებს ყინვასავით ცივი წყაროები. იქ შორის ბზინავს და მიიშალება მორცხვით მდინარე შორი, რომლის კალმაზის სილამაზეს და გემოს ძნელათ თუ ასწერს ფისიმე კალამი. გრილი, წმინდა ჰაერა დამთვრალა რალაც საამურ, გამოურკვეველ სუნელებით და მიტბობს არსებას. დაცხრა, დაამდა შეწუხებულ სული. მეეშვარ ამ დიად პიზნაქს, შეეტრფი ამ ედმეს და ვამბობ უნებელივით: ნუ თუ, ეს არის ის საქართველოს ტურფა მხარე, რომლის ნახვასაც ასე ენატრობდი?! ნუ თუ ესაა რაჰა?! დიად ეს არის რაჰა და ეიმყოფები მშრომელ და მაკადინ ხალხის ქვეყანაში. მე მსურდა ემდგარიყუე დიდხანს ამ მალობზე, მეტკირა ამ შეენიერებისათვის, მაგრამ ჩემი მხლებელის რიხიანმა ხმამ გამომადვიდა ამ ოკნებლანდ; ქვეე კი შენი ჰირიმე, ქვე რას უყურებ მაკდენს; ქვეე ნათი არ გინახავს თუ? ქვეე ცოტა დაუქქარათ, თვარა დავდიანდებ; თუ გინდა ქვე ხარი-თვალზე შევიცენოთ.

შეე რას ეიზამდი; დავმორჩილი მის უტყუარ ლოლიკას, შეეეკვი ჯახრიკაზე და გაუდემი გზას. ისედაც გრილი ჰაერის უფრო აგრილებს და აჩრდილებს უზარ-მაზარის წიფლები და ნაძვიები; მათ შორის ნაწათ აუყრათ თვინ ფერად ყვავილებს რომელთა ფურცლების ოდნეე შრიალი ვგაონებთ მძინარე ბაეშის ბავეთა უცოდველ მოძრაობას. აგერ დაკიდულა ქორთვა დროზე პაწაწა ზარბივით ქალშავას თეთრი ყვავილები, აგერ დაქლადებს ყვითლათ დიდფოთოლა ჯორის ტეფა, იქ კიდევ გამოიყურება წითლათ რიყის ძირა, აგერ იშვირება ლურჯათ მერქიულა, მათთან გადაშლილა მოხდენით ეით ფარშავანის შეენიერი ბოლო ნახფოთლიანი გუმრაჰა და ბურღულა; აგერ, განცალკე-

ეებით დაუხრია თავი ჯახველას და ბრწყინავს წითლათ ეით მორცხვი პატარძლის ლოყები; მასთან... ჰე, ეინ მოთოლის კიდევ რა მცენარე არ შეუტყრება აქ გულუზე ბუნებას! მე მიედივარ, მივალ ამ დიდებულ ტყეში, ამ ორძილის დიდებულ სამეფოში, ოკნება მიხატავს რალაც ზღაპრულ სურათებს და სიამით აღძრულ გულს გააქვს ტბილი ბავა-ბუვი.

შეწყდა ეს შეენიერი ხეობა და ახლა გადიიშალა სხვა ახალი სურათი. ჩვენ წინ ეფინება ს. ნიკორწმინდის და ხონქიორის ერცელი მინდვრები. პურის, ქერის, ლომის და სიმიდის ყანები ბზინავს ყვითლათ და მწვანეთ. მაგრამ ეილან ის ოთხი რომ ჩამდგარან და მეიან სწრაფათ პურს? მათი გრძელი ფერადი სამოსელი ფრიალებს ნიახეზე; მათი საამურა სიმღერა რაკაკებს ჰაერში და ედება მთა-ველს. ნუ თუ ცენვი მანდილოსნები არიან?! ნუ თუ ქალები მუშაობენ აქ? რატომ საქართველოს სხვა მხარეებში არ ენედ-აეთ ამას? დიად, მხოლოთ ოკრიბაში, ლეჩხუმში და მეტადრე რაჰაში მუშაობენ ქალები. ისინი არიან ყოველ საქმეში თვის ქვრების ქეშარით ამხანაგი და ქვრები ევრ დაქაღნიან მათ, რომ გარჩენთო.

ადგილის სიენიწროვე და სიძვირე აძიულებს კაცებს წავიედნ სხეავან და იქ თავიანთი ხელოობით და შრომით იშოვონ ფული. საღღგამათ ყოველ კუთხიდან მომდინარეობს რაჰაში რაჰველი, მოდის თავის ერთი წლის უნახეე ცოლ-შვილში; ხარობს იგი მათ შორის ერთი-ორი თვე, იყიდის იმ შეძენილ ფულით ცოტაოდნადგელს, დანხავს და დათესავს ყანებს, მოუვლის ევენას და გასწებს ისეე მალე საშოვარზე მფორე აღდგომამდე, ეინ იცის რამ სიშორეს. ოჯახის მომვლელათ რჩებიან მხოლოთ ქალები; ისინი ხშირათ კიდეე ხენენ და თესვენ, მკიან, ლეწვენ, თბევენ, ფქვენ და ამავე დროს ზრდიან შეილებს. აშენებენ საქანელს, ქსავენ შალეებს, თელეენ ნაბდებს და ეინ მოთოლის კიდევ რას ერთა სიტყვით მიეღი ოჯახის ტვირთი აწვეთ მათ კისერზე და ქება-დიდება იმათ, რომ მხნეთ მიაკეთეს მძიმე უღელი. ისინი არიან ღირსეული ცოლები ღირსეული ქვრების და ამ მხრით რაჰველ გლეხის ოჯახი თამამათ შეეგიძლია შეეადროთ ნემსის ოჯახს, საქართველოში ხომ საშავალითა და პირველი ალაგი უკავია შრომის მოყვარეობით და მხნეობით. მართლაც რაჰველები ძალიან წავავენ ნემსებს სიძუწვით და ანგარიშთან ცხოვრებით. რაჰველი ქალი, არამც თუ მარტო შრომით, ხან ტანსაცმლითაც ჰბაძევს მამაკაცს. ხშირათ ნახეთ ზემორაჰაში და მეტადრე ს. ლებში, გლოლაში, ქიორიში და უწერაში, რომ მანდილოსანს ჩაუტყვამს კაცური ხი-

ბა, პაქიჭები და ქალამნები, მოუდევს ზურგზე ხალთა, რაშიაქ აქეს საეძლი და მიეშურება სამუშაოთ ყანაში; მხოლოთ ქულის ნაცულათ თაეზე ახევეია შალი, რითაც მზიდლება, რომ იგი ქალია.

სად არ ნახათ რაქველ კურტიან მუშას, დუ-რგალს, მეწისქვილს, მებაღეს, მგერაწეს, ვაჭარს სა-ზანდარს... ისინი მოდებულა მთელ საქართველო-ში, მათ შეხედებით შეზღვაზე მდებარე ქალაქებში, თვით ოდესაში და უფრო შორსაც კი. რაქველს უყვარს ის მხარე, სადაც პირველათ დარწმუნულა მი-სი აკენი, უყვარს რაქვის შეუღარებელი მთა-გორე-ბი და ცივი მაცოცხლებელნი წყარონი, უყვარს უწერის მკავე წყალი, უყვარს რაქული ლორები, უყვარს შაორის კალმახი და მალხინებელი „აღექსა-ნდრეულა“, ამიტომ ვერ ტოებს იგი ადვილათ ამ ტურფა მხარეს. იგი უმჯობესათ არჩევს მთელი ნა-ხვეარი სიკოცხლე დარჩეს გარეთ, იშრომოს მხნეთ, გასწიოს დიდი ტინჯა-წვალება, რომ ბოლოს მი-ნც, სიბერეში შეიძინოს ცუტადენი მიწა-წყალი, განისვენოს გულ-დამშვიდებით ღ დასაუღაღეს მამაპა-პათა შორის საუკურო საეანეში; გადასახლებით კი ძლიერ იზვიათათ გადაეა სხვა მხარეს, თუნდ იქ, დიდი სიმოდრე და ბედნიერება მოელოდეს.

მაგარა მე ძლიერ გადაცილი ჩემ გვემას. და-უბრუნდეთ ისევ. გახდა კადვე ჯახრიკას გამხმარ გავაზე მთრახის ტყეცანი და განეაგრძე მგზავრობა. აი, შემომხდა დატერითული პაწია გოგონებიანი ურე-მი, გვერდით მოდის მალხაზათ, ვით ცქვიტი მთის არჩეი, ლამაზი გოგო. ეგერ დასრიალობს ფართო კალოზე კვერი, ზედ ზის მანდილოსანი თავის შეი-ლგებით და მარლათ მიერეკება ხარებს; ეგერ ჩამდგარა ყანაში მთელი ოჯახობა, ქალი ხელოენუ-რათ გრებს ულოს, ჰკრავს მოაკილ ქერს და დებს ურემზე; იგი არ შეშინებია სიცხეს, დაჭქრას ჯარა-საეით და სრულიათ არ აქცევს ყურადღებას, თუ როგორ მოგორავს მის გახურებულ სახეზე ოფ-ლის ბურთები. მეეუტქერი ამ მშრომელ მანდილო-სნებს, შეეხარი ამ დიდიან-პატარაიანათ გამრჯელ ხა-ლს, შეეხარი მათ და ამ დროს ჩემი ფიქრ; მთლათ ჩემი გრძნობანი ლოკვე მათ მარჯვენას, ლოკვენ ყოველ მშრომელ პატროსან ვერს, რადგან მათი ხეედრია მომავლი ცხოვრება და ქეშვარიტი ბედნ-იერება.

ახალგაზდა ქართველი  
(შემდეგი იქნება)

გ ა მ ო ც ა ნ ა

**მ**ათ ბატონს პატიოსნება მხოლოთ სიმდიდრე ჰგონია, ოხრათ ნარკები ქონებით ამაყობს თაე-მომწონია.

შთამომავლობას აფასებს პირად ღირსების მტერია, უნცროსის დამჩავერელი და უფროსის ფეხთამტერია.

ღარიბებს ზიზღით უყურებს, უარჰყოფს ნიჭს და გრძნობასა, სწავლაში დაბერებული თვით ვერ მოსული ტნობასა.

ის არის მისი კანონი, მის თელის მიზნათ და ვალადა, რომ თვისი მოძმეც გაცარცეოს ან ხერხით, ანუ ძალადა.

პატიოსანი შრომით მას, ჯერ არა უშოენია-რა. კაცს სისხლს წოვს ვითა წურბელა, ძეღობს უხრავს როგორც იარა.

არ გამოზღლია მისთანა ვერ ჩვენში არც ერთ გვარშია, მოძღვარი ცრუ მოწმობისა გამმპარჯვე საჩივარშია.

სხეების მცირელი შეძენა მისი სენი და წყლულია, შურით და გელათ აესილი ზნეობა შებლაღულია.

სხვა არა-რა წამს ფული და სმა-ჰამა შესარკონია, ახალ თაობის კაცუა მამული ზერები ჰგონია.

ვიცა რომ ძობება ქვეყნისგან იმისთვის ბზე და ჩალაა, მაგრამ არ ეციე მისი ძმა ქვეყნათ რა მაჩანაჩაა?



პ ა რ ტ ა ს ი

(მოთხრობა გვ. ნინოშვილისა).

შედეგა \* )

VII

**2** ავიდა რამდენიმე თვე. მელანია ახლა უკვირდებოდა თავის ცხოვრებას და ხედავდა, რომ რაც დრო გადიოდა, მით უფრო ძნელი ასატანი ხდებოდა მისთვის ეს ცხოვრება. ცდილობდა, მაგრამ ჯერანის გულში მცირეოდენი თანაგრძნობის ადგილიც კი ვერ დაიჭირა. მათი ცოლქმრობა, მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ ღამით ერთმანეთთან წვებოდნენ, ესეც ისეთი გულ-ცივით და უხასიათოთ, რომ თითქოს ძალ-დატანებით ასრულებდნენ ამ მოვალეობასაო. დაწოლის დროს ჯერან ან ლოგინს დაიწუნებდა—უხეიროთ არის დაგებულთა, ან სხვა რასმეს მოიმიზეზებდა და მაინც ასაკველურებად ცოლს, რაც უნდა რიგზე ყოფილიყო ყოველივე. თუ უქმი, ან აედრინი დღე იყო, ჯერან დალიდან საღამომდე შინ დარჩებოდა და მაშინ ხომ რა, ერთი წვალბეა უნდა გამოეგელო მელანიას: ჯერან უთვალთვალებდა მას საქმის კეთებაზე, უწუნებდა ყოველივეს, აყვიერდა ყოველ წამში — „სხვა სხვანა და საქციერიც უხეირო გაქა“. ხვარამზე და ელისაბედ ხომ მუდამ შინ იყვენ და მუდამ წგრთნიდნენ ჩაძლს წაღმა-უკულმა. მაგრამ რაც დრო გადიოდა, მით თანდათან ჰკარგავდა მელანია ამათაღმი ჰატიცემას და მორიდებას,— „რაც უნდა მიინდომო, რაც უნდა ამო, აგინის გულს მაინც ვერ შეაჯერებო“. ახლა დედამთილი და მული რომ ბრალის დებას დაიწყებდნენ, მელანია წინანდებურათ ფიცლის კი არ მოყვებოდა, არა, ისე სიჩუმით ჩაატარებდა.

მართალია, ხვარამზე და ელისაბედს, მეტად რე ანხლი ხასიათის ელისაბედს, ძლიერ აჯავრებდა მგ გამოურკვეველი სიჩუმე.

— ესე გველსავით გარისინდება და ჩივიწყტს ენას, რომ გულზე ცეხლი მოგეკიდება კაცს! ეუმნებობა ერთ დღეს ელისაბედ დედას.

— ყველა გველმა ადამიანმა ესე იცის, გაჩემება. ვითამ და ახე, მე კი სულიერი ვარ, შენ რაც გინდა მითხარი, მე მაინც არ მეწყინება, მაგორს არ გეტყვიო. მარა გულში ქე წერს ყველას და ბოლოს გველსავით საწამლაოთ გადმოაწთხებს. მიუგო ქალიშვილს ხვარამზემ.

ერთ დღეს ელისაბედმა ატეხა მსჯელობა თერთ ფეროვანი და შევეგრძმანი ქალების ხასიათებზე და ბოლოს თითონეე მისცა თავის მსჯელობას დასკვნა:

— შევეგრძმან ქალებში უფრო ბეერი მოდის ავი გულის პატრონები და კახებოო.— თითონ ელისაბედ და დედა მისი შაქრის ფერი თერთი ქალები იყვენ.— მეღანამ მულის სიტყვებზე წარბები ჩამოუშვა, რადგანაც, მისი ფიქრით, ეს სიტყვები მისკენ იყო გადაკრული. ელისაბედი თავისებურათ ჩაუყინდა ჩაძლს.— წარბები რომ დახარე, ამა რა ეთქვი შენი საწყენოო.

— რა ვიცი, კი მეწყინა და! უპასუხა მელანიამ ცოტა ცივათ.

— კი მარა, იმას აღარ მეტყვი რა იყო ამაში შენი საწყენი!

— იყო, თუ არ იყო, კი მეწყინა და ახლა რაი! გულს ხომ ვერ ამოვივლეჯ?

— თქვი ბარემ რა გიქნეს საწყენი. უთხრა ხვარამზემ.

— მეწყინა მეთქინ ეთქვი, იგია და მეტი რაი! — რომ გეწყინა იმას გკითხავ მეც, რა ეთქვი შენი საწყენი? რეიზა მიიღე შენ თავზე?

— ჩემზე თქვი და ჩემ თავზე მივიღე.

— მერე რა მტერობა მქონდა შენზე? ხედავ რა ავი გულის ყოფილა! რა იფიქრა! ჩემზე თქვიო! თურამე მტრათ გვიყურებს!

— რა ვიცი, ყოველთვის კი ჩივით იმისთანას რომ მეწყინება და! გამოტყდა მელანია!

— ამა, ამისა იყო რომე მე და ნენას წამდა უწუმ გვიტყუხავდი წარბებს! ამისთანა გული გაქ შენი! მძიმე საყვედურით უთხრა ელისაბედმა.

აქ ჩაძლმა რალაც მწარე სიტყვა შემოსტყორცნა მულს და გაიშართა კი გეპრიან აყალ-მაყალი რომელშიაც მელანიამ, საქმაო მწარე სიტყვებთ გადმანთხია აქამომდე დაფარული და გულში დანგუბებული ნაღველი. იმ დლიდან მოწყებული ხშირათ იმართებოდა ჯერანის ოჯახში ასეთი აყალ-მაყალი და რომელც დროთ განმავლობაში, უფრო და უფრო ცხარე ხასიათსაც დებულობდა. ბოლო და ბოლოს მელანია აღარ ურჩებოდა უქან დედამთილ! და მულს წყევა-კრულვაში და ლანძღვა-გინებაში, რაც იშვიათი არ იყო იმათ შორის. ამ გარემოებამ ჯერანის ყურამდეც მიაწია, „ნენას და ჩემს დას ავი სიტყვა არ ჰკადრო, თვარა სულს ამოგბდი“-ო ექალოდა ჯერან ცოლს, მაგრამ ეს მუქარა სრულათაც ვერ სპობდა მის ოჯახში ქალების დაქას და უთანხმოებას.

\* ) ძლიე ვკალი № 48

По определению пензенуаго комитета, 23-го Ноября 1894 года состоявшемуся, настоящее письмо подлежит обязательному напечатанию на основании 139 ст. уст. пенз. съ указанными въ письмѣ исключеніями.

წერილი „კვალის“ რედაქციისადმი\*)



ქვეა გაზეთის 47 №-ში დასტამებულია ოპორტიუნისტულად გამოგზავნილი წერილი ვილად „მეთვალყურე“-სი, რომელ წერილშიაც სხვათა შორის ჩემს შესახებ სწერია: „მართალია, გრეკულ რამიშვილს მოუხსენებია ბნ რ. სიმონიძისთვის, რომ გურიაში ისე ხმარობენ, როგორც თქვენ ხმარობთ და გურულები თუ არ ამბობენ, აკაკის ცხატობათა და სხ.: მაგრამვე ჩემის აზრით არ ცოდნია ბნ რამიშვილს გურიაში ვინ რას ხმარობს და რ. სიმონიძის მოხატობება და უთქვამს პირმოთენობით: გამაჯრებელი შენ ხარო. მხოლოდ არც ის არის ვასაკერალი, რომ ერ. რამიშვილმა გურიაში რას ლაპარაკობენ, ის არ იცოდეს, რადგან ის, ერ. რამიშვილი პატარაობიდანვე დამოკიდებული სულ სხვადასხვა ქვეყნებში აღიზარდა და დღესაც გურიაზე მოცულობით გარში ცხოვრობს ავერ თუთხმეტა წელიწადია. მაკამ ყოველს შემთხვევაში ბ. ერეკლეს საშლვარზე გადაუხვევია, რაცა ამბობს რომ გურიაში ასე ამბობენ, მაგრამ აკაკის ცხატობა და არას ამბობენო. გურულებზე ასეთი სულიერი, რომელიც გურულებს მიწასთან ასწორებს, ჯერ ჯაკს არ შეუწამებია და ნუ თუ მარტო ერეკლე რამიშვილმა დაინახა გურულების ასეთი სულის სიმდებო. რაცა საზოგადო საქმეზე კამათია აღძრული, აქ პირადობა რა შთაშია, მანასადამე დამტკიცებულად აზრები, რომ გურულები პირდაპირი ხალხია, გურულებს პირში თქმა უყვარს და არა გზით პირში სათქმელს პირს უყარ არ იტყვის ყველა ნაკლულევანებდას პირში გამხესლ და სხ.“ ესლენაზობთ რამდენი სიმართლეა ამ სიტყვებში და როგორ ამანიჭებთ ქუშმარტების თვით ქუშმარტების მოსაჩივრებ. „მეთვალყურე“-სი, მაასადეს არ მიიჭებდა გურულები მ:სოერს არაფერს ამბობენ კამათობის შესახებ რომ აკაკის ცხატობათ მეთქი, აი თვით ბ. სიმონიძის სიტყვები ამის შესახებ: „მკვიდრი გურიისანი, მაგ. ირაკლი რამიშვილი, მოწმობენ რომ ყოველი გურული ნასწავლი და უსწავლი ხმარობს იმ ფორმასა, რომელსაც ჩვენ ეესარჩლებით. ამას შემაოწმებსო, სტქე ამ პირმა, ყოველი გურული მწერალი, თუმცა აკაკისა ყველას დიდი ხათრია აქესო (იხ. „ივერია“-ს №207) განა აქედამ ის გამოდს, რომ გურულები არაფერს ამბობენ იმის შესახებ იმტრამ, რომ აკაკის ცხატობათ? პარ იქით აქ სრულიათ წინააღმდეგი აზრი არის გამოთქმული, ქვე იგი, „გურულებს დაღათ ცხატობათ აკაკის, მაგრამ, რომ კითხვარ მიხსც სი-

მართლეს არ გადაუხვენ და „ვლიარე“-ს ამჯობინებენ. აქედან მკითხველი ხელდეს, რომ აქ „მეთვალყურე“-ს ან ვერ გაუჩრჩევია დაწერილი და ან განზრახ დაუმარხნვებია აზრი ბ. სიმონიძის წერილისა და ჩვენდა მოუწერია წინააღმდეგ იმისა რაცა ესტქე და რა აზრითაც ესტქეით.

„გურულები პარდაპირი ხალხია, გურულებს პირში თქმა უყვარს და არას გზით პირში სათქმელს პირს უყარ არ იტყვის, ყველა ნაკლულევანებდას პირში გამხესლ და სხ.“ დიახ, მართლს ბძანებთ ბ. „მეთვალყურე“-ს გურულები სწორეთ ამგვარი ხალხია და თავიც მომაქეს ამგვარა გურულების თვისებით.

„ბ. რამიშვილს სიმონიძის მოხატობება და უთქვამს პირმოთენობით გამარჯვებული შენ ხარო“ მე რომ აქ პირმოთენობა გამომჩინა, სწორეთ აკაკის მხარე უნდა დამეჭირა, რადგან აკაკისთან უფრო ბევრათ მეტი დაახლოვებული ვარ, ვიდრე ბ. სიმონიძესთან, რაზედც თვით ჩენნი სახლოვანი პოეტრი დამეთანხმებდა, მაგრამ მე ის ვთქვი რაც მე ეცილად, და რაც მწამს დღესაც; მე თვითონ გურული ვარ და „ვლიარე“-ს უფრო მეხერხება სათქმელათ და ჩვეულებრივით მიმანიჩა, ვიდრე „ვლიარე“-ს ეცეე გამიგონია ეს სიტყვა სხვებისაგანაც, თუმცა თვით ეს სიტყვა ჩვეულებრივ ლაპარაკში იშვითად იხმარებთ. მე სრულიათაც არ ვრაცხ თვის თავს მსაჯულათ ერთის თუ მეორის ფორმის კანონიერებისა, თუ უკანაზობას, მხოლოდ ის ვთქვი რაც გამიგონია, და რასაც მე ეხმარობ, რაც შეეხება იმას, რომ ბ. „მეთვალყურე“-ს გურულებიდან გამომრიცხა მისთვის რომ მე „პატარაობიდან სულ სხვადასხვა ქვეყანაში აღიზარდე და დღესაც გარში ვცხოვრებ ავერ თუთხმეტა წელიწადია“, არც ეს არის სრული ქუშმარტება; უმეტესი ნაწილი ჩემი ცხოვრებისა გურიაში გამოტარებია და ახლაც არა ვარ დაშორებული გურიაზე და გურულებზე, ასე, რომ თავი არა ნაკლებ გურულათ მიმანიჩა ვიდრე თვით „მეთვალყურე“-ს.

ერეკლე რამიშვილი

„კვალის“ ფელსტა

ახალ-სიხნს. შ. მ. კოსტანინოვოვლი: ი. რ. და აბაშაში ბ. დ.—თქვენი სახუმარო გასართობი ა დაიბეჭდება, რადგან იმ პირების შესახებ ერსაც ესაყვედურებით, ჩვენ ხალხურ ანდაზას მივდევთ: „ყბედს რა დააწუმებსო და მუნჯიო!“ და საყვედური თუ გნებათ მიმართეთ პირდაპირ იმათ.

\*) ამ წერილს ისტოკოპიკატით, რომ ვოსოკეთ ავტორს შეეპოვებინას ისე, როგორც სტენგურო კამიტეტს შეუძლია.

### წერილი ახალსენაკიდან

ასალსენაკი. თქვენი პატრიცემული ვახუთი „კვალის“ № 42 დაბეჭდილი ბ-ნ კ. თავართქილადისაჲან ღია წერილისა გამო ვალთ ვრაცხ პატრიცემული „კვალის“ მკითხველების წინაშე გავიძაროთლო თავი და აღუწერო მათ სინამდვილე ამ საქმისა. ამა მდგომარე წელნი ვახუთი „იერიკი“ ვაიმართა კამათბა ახალსენაკის სამკითხველოსა გამო. სამკითხველოს დამარცხებლამ წვერებლამ უკვე გამოაცხადეს ანგარიში ყოველივე შემოსავლისა და გასავლისა (სამკითხველოსი), პაგრამ ბ-ნ კ. თავართქილადემ „არა მკითხემ“ გამომიწერა მე ვახუთით სამედიკატორა სამართლი. მს ელუხბოვა წვერებს და გამოაცხადეს ვახუთი „იერიკი“ „ჩენი თავის და მკირებათ და ტყუილათ ღროს დაკარგვათ მიგეანია, ვილაჲ თავართქილადესთან სამედიკატორა სამართლი გამოისლა და ჩვენ ყოველივე სამკითხველის შესავალ გასავლის ანგარიშს საზოგადოებას წარუდგენთო.“ თანახმათ ამ განცხადებისა ჩვენ ყოველივე სამკითხველოს შემოსავალ-გასავლის დავითრები და წიგნები, რომ ელუხბოვა მე მებარა, ვადგეცი თ ერთს პატრიცემულს სამკითხველოს წიგნს და საზოგადოებაში ცნობილს თავისი პატრონისი და მიუდგომელი ხასიათით ბ. მიხვილ ზაქარაის ძე დიდებულობის და კიდევც ეთხოვეთ, შემოსავალ-გასავლის წიგნი გავსინჯა, დაენი შნა საზოგადო კრება წვერებისა და წარუდგინა განსახილველათ საზოგადოებისათვის. ბ. დიდებული ძემ თითონ ყოველივე განხილა და საძვერ მოუწოდა საზოგადოებას, მაგრამ კრება არც ერთხელ არ შედგა. დღესაც ეს წიგნები ბ. მ. დიდებულობის აბარა და ყოველივე ვაგრძელება ამ საქმისა, კარგათ იცის და უსათუთათ თავის აზრს წარმოთქვამს ვახუთის საშუალებით. მაშინ უფრო დარწმუნდება მკითხველი საზოგადოება სიმართლევზე, ახლა ახალ სენაკში „კლუბს“ აარსებენ და აქვე უნდათ მოათავსონ სამკითხველო. ყოველივე ზემო წარმოთქმული კარგათ იცის ბ. კ. თავართქილადემ, მაგრამ მაინც ვაძიხბის: „ავერ ცხრა თვე გადეს და სამკითხველოსი არა ისმის რა“ და ეთომც მე ეყოვ ამის მიზეზი, ნუ თუ ბ. თავართქილადეს გული შეტკივა სამკითხველოზე და ის აწუხებს მას და იმან გამოიჩინა მისი წერილი? სამკითხველოს საქმე რომ მას აწუხებდეს კარებსაც არ დაგეკრებათ. თუ მიიღებთ მხედველობაში იმ ანგარიშებს, რამაც გამოიწერა მისი წერილი, მაშინ დარწმუნდებით, რომ იმას თავისი ანგარიშები აწუხებს. მე მაინც ტყუილათ მბრალდებ, ეთომც ამერქალოს მოწაფეებისათვის მის მალაზიაში სასწავლო წიგნების ყიდვა და ეთომც მე თითონ ვსილდე. ლაი, საქმე როგორ იყო: წარსულ წლებში ბ. თავართქილადემ ძლიერ ძვირათ დაიწყო გაყიდვა წიგნებისა და რეულებისა. მას ყოველივე გაუადვილდა, რა კი მეტოქე არ ყა-

ვდა. მაგრამ ამ ბოროტების მოსასპობლათ მიიღეს კანონიერი ზომები. აღიძრა კითხვა ამ ბოროტების მოსასპობათ სამღვდელთაგანს კრებაზე, და ამ კრებაზე სამღვდელთაგანს დეპუტატებმა, რომელთაც იყვენ წარმომადგენელი სენაკის, ზუგდიდის, ლენხუმის მაზრების სამღვდელთაგანსა და აგრეთვე მთელი აფხაზეთის მაზრისა, ერთხმათ გადაწყვიტეს შემდეგი: „მოვიდა დეპუტატების ცნობამდე, რომ მოწაფეები სასულიერო სასწავლებლისა ყიდულობენ ძლიერ ძვირ-ფასით სასწავლო ნივთებს და სასუქმდგანლოებს წიგნების ვაჭრის თავართქილადისაგან. ვთხოვთ სასულიერო სასწავლებლის სამმართველოს იქონიოს სასწავლებლის ბიბლიოთეკაში ყოველგვარი საქირა სახელმძღვანელოები და რომ მოწაფეებმა აუდონ უსათუთო სასწავლებლის ბიბლიოთეკაში და აღარსაღოს ყიდვა თავართქილადის მალაზიაში (იხილეთ გურხალი №. 18) სამღვდელთაგანს კრებისა მუხლი 11, 1892 წ. 12 — 13 იანვრის). ამ საქმის მაწარმოებელ ბიბლიოთეკარს დანიშნული აქვს სამღვდელთაგანსა 100 მანეთი. ასეთი გადაწყვეტილობა დამტკიცებული არის სასულიერო მთავრობისაგან. თანახმათ ამა ვადრადწყვეტილობისა, ბიბლიოთეკარმა სასულიერო სასწავლებლისა, —სასწავლებელმა ბ. სპირიდონ მატარაძემ გამოიწერა, ქუთაისი და თფილისის მალაზიებიდან ყოველგვარი სახელმძღვანელო წიგნები, რეულები, ყარაღაშები და სხვა-და-სხვა ყიდის სასწავლებლის ბიბლიოთეკაში სამმართველოს დაწესებულ ფასათ და მოგება სამღვდელთაგანს რჩება. ზემო მოყვანილობა სამღვდელთაგანს ვადწყვეტილებამ ძლიერ დიდი სარგებლობა მოუტანა საზოგადოებას; ახლა ბ. თავართქილადე ძალა-უნებურათ როგორც ვასათ ყიდის, ფასი რომ მოუმბატოს მისგან არავინ იყიდის. ტყუილათ მწამებს ბ. თავართქილადე, ეთომც მე აღუეკრძალე მოწაფეებს ყიდვა მის მალაზიაში სასწავლო მასალებისა და მე ეთომც თითონ ვყიდვ დევირფასათ. ჩემთვის არავის არ მოუწოდია ბიბლიოთეკარბა სასწავლებელში, თორემ მეც რასაკვირველია, სისრულეში მოვიყვანიდ სამღვდელთაგანს გონიერ ვადწყვეტილებას. ბ. კ. თავართქილადე გეამბობს არა შესაძლებელ შემთხვევას, ეთომც ზუგდიდისაგან მოწაფე მისულიყო სენაკს უბრალო წიგნის საყიდლათ და გზაში ბევრი დახარჯოდას. ზუგდიდსა და სენაკს შორის ერთი ფოსტა არის, ყოველ დღე სხვა-და-სხვა გვარი ეტლები დადიან და ახლა არავინ არის ისეთი უგუნური, რომ ისე მოიქცეს, როგორც ბ. თავართქილადე წიგნს თავის წერილში. ბ. თავართქილადე აბოლოკებს: „მომავალ წელს უფასო წიგნთ-საცავი მინდ ვაგესნაო“ ძლიერ კარგი იქნება და არავინ ეცოლება დამშლელი მაგრა მე მაინც ევეკობ, რადგან „როგორც ქუხს ისე არა წვიმს“ იმიტომ, რომ უფასო სამკითხველოდ არაფერი მოგება ექნება ბ. თავართქილადეს.

სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი  
ბესარიონ მიქაძე

### წერილი „ივერიის“ რედაქციის მიმართ

(გაღმოსვლილი „ივერიიდან“)



საჩინო რედაქტორო, „ივერიის“ მე-237 ნომერში ამოკავითნეთ სპასუხო წერილი ბნ დოლის მიმართ, რომელიც კვალის პირით დატეხილებათ, რა უფაით ის სპი თუშნი, რომელიც განჯაში მყოფ პართველთა შორის იყო შეგროვილი განსვენებული პეტე უსნიბუგის ცხედარზე გვირგვინის დასაფარადო. თუკენ უნახუსეთ, რომ განჯელ პართველებსაგან და სხვათაგანც გამოგზავნილი ფული, რომელიც „ივერიის“ რედაქციას მოუვლია, გადაეცა განსვენებულის მარცხენიველთაგან არჩეულ გამგეათო.

თუკენს რედაქციასში მოსული ფული, რომელიც გვირგვინებს უნდა მოსმარებოდა, მივიღეთ სულ 251 მანეთი, შემდეგ შემოაძწველთაგან: 1) ქუთაისში შეგროვებლი 26 მან., 2) აპკოდან 40 მან., 3) განჯიდან 30 მან., 4) თელავიდან 30 მან., 5) კიევიდან 10 მან. 6) ბათუმში შეგროვებლი 31 მან., 7) ოდესიდან 25 მან. 8) მოსკოვიდან 15 მან., და 9) კავკავიდან — 30 მან. ამას გარდა, კერძოთ გადმოგვცა კიდევ ტფილისის რეინის გზის დროში მოსამსახურეთაგანმც 24 მან. და რაფ. ნ—ძის უსნიბუგისაგან 104 მან, იმ ფულიდან,

რომელიც წინის შეგუჯაგ სასოგადოებისაგან მიეღო.

იმ კომიტეტმა, რომელიც განსვენებულის დასაფარებების გამგეთ იყო შემდგარი, ბევრი იანგარიშს მოსალოდნელი ხარჯი და იმ გზას დაადგა, რომ შერფესის გვირგვინების მტეირობა უარალოს გააწვეინოთ და დანარჩენი ფული განსვენებულის სხვა გარ სავტროკეას მოვასმაროთ, რთა გვირგვინებს გარდა სხვაფერებც დიარეულად და დიდებულად დამარსულ იქმნის ჩვენს დაუფიწერის კანცის ცხედაროთ აი, ეს მიზენი განლდათ, რომ სხვანებო გვირგვინებისათვის გამოგზავნილი ფული მარტო გვირგვინებს არ მოსმარებოა. აღ. უსნიბუგის განსვენებას შემოსესწვეულ ფულზედ გცილებით მუტო დასციწდა და სრული ანგარიში ამის, თავის დროზე შემოაწმეული, ჩვენს სულთა.

ჩვენ გგონია, აგვალას რედაქცია სავტროთ დინახუს ამ წერილის გადაუტკვას თავისის მცითხელების სცნობად.

ვალერიან გუნია  
 15 ნოემბერი  
 ანდრო ლულაძე  
 („ივერიას“)

რედაქტორ გამოცემული ან. თ. წერეთლის.

## განცხადება

ქართული თეატრი

კვირას 1894 წ. ნოემბრის 27

ამხანაგობის დასი გამართავს წარმოდგენას

I

### პატარა კახი

დრამ. 5 მოქმედ. აკაცი წერეთლის.

II

ჩათრეება ჩაეოლა სჯობინ

ვალდებ. I მოქმედ. კ. ბ.

მონაწილეობას მიიღებენ: ავლოვისა, ჩერქეზი-შეილის, მაცხმიძისა და სხ. ბ. სვიმონიძე, გამურელიძე, გელვენიოვი, შთიანიშვილი, კანდელაკი, და სხ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივად

შეგირდებისათვის ადგილები ლოკების უკან 50 კაპ.

დასწოვისი 7 1/2 სათხო

შზადლება წარმოსადგენათ: „სეილოლი დალაქი“ „ბორკილი“ „სტუმარი“ და სხ. მ. სფაროვის, კ. ნაშვილის, და კ. ყიფიასის მონაწილეობით.

რეჟისორი ვალერ. გუნია